მომხმარებლის სახელმძღვანელო
თმის ფენი Mi Ionic Hair Dryer

ყურადღებით წაიკითხეთ ეს სახელმძღვანელო მოწყობილობის გამოყენებამდე და შეინახეთ შემდგომი მიმართვისთვის.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი 8 წლამდე ასაკის ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათზე ზედამხედველობას ახორციელებენ მათი უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი სხვა პირები. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვები არ თამაშობდნენ მოწყობილობით.
- არ მისცეთ ბავშვებს ზედამხედველობის გარეშე ფენის გამოყენების, გაწმენდის ან მომსახურების უფლება.
- **ყურადღება:** თერმული გამომრთველების უნებლიე ამოქმედების თავიდან ასაცილებლად მოწყობილობა არ უნდა იკვებებოდეს გარე გადამრთველი მოწყობილობიდან, მაგალითად, ტაიმერიდან, ასევე არ უნდა იყოს მიერთებული წრედზე, რომელიც რეგულარულად ირთვება და ითიშება ჩვეულებრივი ელემენტებით.
- 
  ნუ გამოიყენებთ ფენს აბაზანის, შხაპის, ნიჟარის ან წყლით სავსე სხვა ჭურჭლის სიახლოვეს.
- ფენის სააბაზანო ოთახში გამოყენებისას აუცილებელია გამოყენების შემდეგ მოწყობილობის ქსელიდან გამორთვა, რადგან წყლის სიახლოვე საშიშია მაშინაც კი, როცა ფენი გამორთულია.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებით გამოსაყენებლად.

- დამატებითი დაცვისთვის რეკომენდებულია სააბაზანოს ელექტრომომარაგების წრედში ნარჩენი დენის დამცავი გამთიშველი მოწყობილობის დაყენება, რომლის ნომინალური ნარჩენი სამუშაო დენი არ აღემატება 30 მა-ს. მოწყობილობა მიწოდების კომპლექტში არ შედის. მის დასამონტაჟებლად მიმართეთ სპეციალისტს.

⚠ გაფრთხილება

- თუ კვების კაბელი დაზიანებულია ან გაწყვეტილია, ტრავმირების საფრთხის თავიდან ასაცილებლად იგი უნდა შეიცვალოს ორიგინალი კაბელით, რომელიც უნდა შეიძინოთ მწარმოებელთან ან გაყიდვის შემდგომი მომსახურების განყოფილებაში.
- ტრავმების თავიდან ასაცილებლად აკრძალულია ჰაერის შემშვები და ჰაერის გამოსასვლელი ხვრელების დაფარვა.
- ტრავმების თავიდან ასაცილებლად გამოყენებისას არ დაუშვათ თმის მოხვედრა ჰაერის შემშვებ ხვრელში.
- გთხოვთ, გამოიყენოთ ფენი მოწყობილობაზე მითითებული ნომინალური სიმძლავრის შესაბამისად. ტრავმების თავიდან ასაცილებლად არ გამოიყენოთ უნივერსალური შტეფსელები ან ძაბვის სხვა გარდამქმნელები.

კვების კაბელი და შტეფსელი

- არ გამოიყენოთ ფენი, თუ კვების კაბელი ან შტეფსელი დაზიანებულია ან გადახურებულია, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა, ელექტროშოკი ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.

⚠ გაფრთხილება

- არ გამოიყენოთ ფენი, თუ შტეფსელი როზეტში მჭიდროდ არ ჯდება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა, ელექტროშოკი ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.
- ნუ ჩასვამთ და ნუ ამოიღებთ შტეფსელს სველი ხელებით, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი და ტრავმები.
- არ გამოიყენოთ ფენი, თუ კვების კაბელი შეკრულია, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.
- აკრძალულია დაზიანებული კაბელის გამოყენება. ნუ შეცვლით, ნუ მოხრით, ნუ გაჭიმავთ და ნუ გადაგრეხავთ კვების კაბელს, ასევე ნუ დააწყობთ მასზე მძიმე საგნებს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.
- როზეტიდან გამორთვისას ნუ მოქაჩავთ კვების კაბელს. მოწყობილობის ქსელიდან გამორთვისას შტეფსელს ხელი დაუჭირეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კვების კაბელი შეიძლება დაზიანდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა, ელექტროშოკი ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.
- შტეფსელი სრულად და უშუალოდ ჩართეთ 220–240 ვ~ ელექტრულ როზეტში. არ გამოიყენოთ ქსელური ფილტრი ან დამაგრძელებლები, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა, ელექტროშოკი ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.
- თუ ფენი არ გამოიყენება, ასევე ნებისმიერი მომსახურების ან შეკეთების სამუშაოების დაწყებამდე მოწყობილობა უნდა იყოს გამორთული ელექტროქსელიდან.

⚠ გაფრთხილება

- კვების კაბელი უნდა იყოს სითბოს წყაროებისა და სხვა ადგილებისგან მოშორებით, სადაც მას შეიძლება დაზიანება მიადგეს.

გამოყენება და შენახვა

- ნუ მოათავსებთ უცხო სხეულებს ჰაერის გამოსასვლელ და ჰაერშემშვებ ღიობებში და ნუ დაფარავთ მათ, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა, ელექტროშოკი ან ხანძარი მოკლე ჩართვის შედეგად.
- ნუ გამოიყენებთ ფენს მაღალი ტენიანობის მქონე შენობებში.
- ფენის კორპუსი უნდა იყოს მშრალი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ელექტროშოკი.
- ნუ გამოიყენებთ ფენს ისეთ შენობებში, სადაც გამოიყენება აეროზოლური (სპრეი) პროდუქტები ან იმყოფება ადვილად აალებადი წყაროები.
- ნუ დატოვებთ ჩართულ ფენს მეთვალყურეობის გარეშე, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი მოკლე ჩართვის შედეგად.
- ნუ შეინახავთ ფენს მაღალი ტენიანობის ადგილებში, ვინაიდან ფენის გამოყენებისას ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი ან ხანძარი მოკლე ჩართვის შედეგად.
- ნუ შეინახავთ ფენს ბავშვებისა და ჩვილებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი ან ტრავმები.

⚠ გაფრთხილება

- აკრძალულია მოწყობილობის დამოუკიდებლად შეკეთება და დაშლა, ან ფენის კონსტრუქციაში ცვლილებების შეტანა, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ტრავმები ხანძრის შედეგად ან გახდეს ნაკეთობის დაზიანების მიზეზი. საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს.
- ჩართულ მდგომარეობაში არ უნდა დადოთ ფენი ჰაერშემშვებ ღიობზე, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს გამაცხელებელი სპირალის გადახურება და აალება.
- აკრძალულია ფენის ჩაძირვა წყალში ან სხვა სითხეში, რადგან იგი შეიცავს ელექტრონულ კომპონენტებს. წყალში ფენის ჩავარდნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამორთეთ იგი ქსელიდან. არ არის რეკომენდებული ფენის გამოყენება სრული გაშრობის შემდეგაც კი.
- გადახურების თავიდან ასაცილებლად ფენი აღჭურვილია ავტომატური თერმოგამომრთველით თვითაღდგენის ფუნქციის გარეშე. გადახურების გამო ფენის გამორთვისას, იგი უნდა გამორთოთ ელექტროქსელიდან და დაელოდოთ მის გაგრილებას.
- დამწვრობის თავიდან ასაცილებლად, გამოყენებისას ან ფენის გამორთვისთანავე არ შეეხოთ ცხელ ზედაპირებს, როგორიცაა ჰაერის გამოსასვლელი ღიობი.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად აკრძალულია სველი ხელებით კვების ჩანგალზე ან მოწყობილობის სხვა ნაწილზე შეხება.
- არ არის რეკომენდებული ფენის გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა თმის გაშრობისა, ასევე მისი გამოყენება შინაური ცხოველების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ა.შ. გასაშრობად, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა ან ხანძარი მოკლე ჩართვის შედეგად.

⚠ ყურადღება


- მოწყობილობის გაუმართაობის ან დაზიანების შემთხვევაში, მაგალითად, ჰაერის ნაკადის არარსებობისას, ხშირი გაჩერებისას, შიგნით გადახურებისას ან კვამლის გაჩენისას დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ფენის გამოყენება, გამოაერთეთ კვების კაბელი და მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს. პროდუქტის შემდგომმა გამოყენებამ ასეთ მდგომარეობაში შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი, ტრავმები ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.
- მუშაობისას ჰაერის გამოსასვლელი ხვრელი და საცმი ხურდება, ამიტომ დამწვრობის თავიდან ასაცილებლად ხელით ნუ შეეხებით მათ.
- აკრძალულია ფენის დაგდება ან ძლიერი დარტყმა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი ან მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარი.
- არ გამოიყენოთ ფენი, თუ ჰაერის შემშვები ხვრელი დაზიანებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი თმა შეიძლება მოხვდეს ჰაერის შემშვებ ხვრელში და დაზიანდეს.
- ნუ გამოიყენებთ ფენს ჩვილებისა და ბავშვების თმის გასაშრობად, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა.

პროდუქტის ფუნქციური შესაძლებლობები

ფენი Mi Ionic Hair Dryer H300 იყენებს უარყოფითი იონების ტექნოლოგიას, რომელიც ამცირებს სტატიკური ელექტრობის დაგროვებას და კვებავს თმას მისი დატენიანებით. საგულდაგულოდ შემუშავებული კონსტრუქცია უზრუნველყოფს თმის გაშრობისა და მოვლის უმაღლეს ხარისხს.

1. ფენი აწვდის ცხელ ჰაერს მუდმივი 57 °C ტემპერატურით, ცივ ჰაერს, ასევე საშუალებას იძლევა გამოიყენოთ სხვა რეჟიმები. ყველა შემთხვევაში ჰაერი შეიცავს უარყოფით იონებს.
2. უარყოფითი იონების გამოყენებით თმის მოვლის ჩაშენებული ტექნოლოგია ამცირებს სტატიკური ელექტრობის დაგროვებას, ბეჭდავს თმის კუტიკულას და ასწორებს ხვეულ თმას, რაც თმას უფრო ჯანსაღს და ბრწყინვალეს ხდის.

პროდუქტის აღწერა



1 ჩართვა/გამორთვის გადამრთველი

2 ტემპერატურული რეჟიმის გადამრთველი / ინდიკატორი

3 უარყოფითი იონების ინდიკატორი

მაღალი სიჩქარე

ცივი

4 ჰაერის გამოსასვლელი ხვრელი

დაბალი სიჩქარე

ცხელი

5 საცმი

გამორთულია

მუდმივი ტემპერატურა 57 °C

6 სავენტილაციო ცხაური

7 ჰაერის შემშვები ხვრელი

8 სახელური


9 საკიდი კაუჭი


10 კვების კაბელი

შენიშვნა: სახელმძღვანელოში მოცემული პროდუქტის, კომპლექტაციისა და მომხმარებლის ინტერფეისის ილუსტრაციები წარმოდგენილია მხოლოდ ინფორმაციის მიზნით. მოწყობილობის რეალური მახასიათებლები და ფუნქციები შეიძლება განსხვავდებოდეს პროდუქტის გაუმჯობესების გამო.

ინსტრუქცია

1. დარწმუნდით, რომ ჩართვა/გამორთვის გადამრთველი გამორთულ მდგომარეობაშია, შემდეგ ჩასვით კვების კაბელის შტეფსელი როზეტში და გადაიყვანეთ გადამრთველი სასურველ მდგომარეობაში.







2. ფენის პირველად ჩართვისას ნაგულისხმევად დაყენებულია ცივი ჰაერის მიწოდების რეჟიმი. სამ რეჟიმს შორის გადასართავად დააყენეთ ტემპერატურის რეგულატორი შესაბამის მდგომარეობაში: ცივი, ცხელი ან ჰაერის მიწოდება მუდმივი 57 °C ტემპერატურით. რეჟიმის ინდიკატორი შესაბამისად ლურჯი, წითელი ან ყვითელი ფერით აინთება. ფენის შემდეგი ჩართვისას ნაგულისხმევად დაყენდება ბოლოს გამოყენებული რეჟიმი.

ცივი	ცხელი	მუდმივი ტემპერატურა 57 °C
		
ლურჯი	წითელი	ყვითელი
ოთახის ტემპერატურის ჰაერი, რომელიც შესაფერისია თმის სტაილინგისთვის	განკუთვნილია თმის სწრაფი გასაშრობად	გაშრობის იდეალური ტემპერატურა, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ თმის დაზიანება გადახურების გამო

ინსტრუქცია


3. საცმის დასაყენებლად გაასწორეთ იგი ქვედა კიდის მიხედვით და ჭარბი ძალის გარეშე ჩასვით, სანამ დამახასიათებელ ჩხაკუნს არ გაიგონებთ. კომფორტული გამოყენებისთვის საცმი 360°-ით ბრუნავს. მოსახსნელად დაიჭირეთ საცმი და მოაცილეთ იგი ჰაერის გამოსასვლელი ხვრელიდან.





გაფრთხილება: საცმის დაყენება ხდება მხოლოდ გამორთული ფენის მდგომარეობაში. დამწვრობის თავიდან ასაცილებლად ფენის გამოყენებისას ნუ დაარეგულირებთ საცმს.





4. ფენში თმის მოხვედრის თავიდან ასაცილებლად მოწყობილობის გამოყენებისას თმა ჰაერის შემშვები ხვრელიდან არანაკლებ 10 სმ მანძილზე უნდა იყოს. გადახურებით თმის დაზიანების თავიდან ასაცილებლად თმა ჰაერის გამოსასვლელი ხვრელიდან არანაკლებ 3 სმ მანძილზე გქონდეთ.



5. მოწყობილობის გამოყენების შემდეგ გადაიყვანეთ გადამრთველი «გამორთ.» მდგომარეობაში და გამოაერთეთ კვების კაბელი.

შენახვის ტემპერატურა: -30 °C-დან 70 °C-მდე ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას 0 % - 85 %. **შენიშვნა:** მოწყობილობის დაბალ ტემპერატურაზე (5 °C-ზე ქვემოთ) შენახვის შემდეგ მისი ხელახლა გამოყენებამდე საჭიროა დაელოდოთ, სანამ ის გამოყენების ოპტიმალურ ტემპერატურამდე (5 °C - 40 °C) გათბება.

მოვლა და ტექნიკური მომსახურება

- ფენის გაწმენდამდე დარწმუნდით, რომ ის გამორთულია, ხოლო კვების კაბელი ქსელიდან გამოერთებულია.
- ჰაერის შემშვები და ჰაერის გამოსასვლელი ხვრელების რეგულარულად გასაწმენდად გამოიყენეთ პირსახოცი, ბამბის ჩხირი ან კბილის ჯაგრისი.
- მოწყობილობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ჰაერის შემშვებ და გამოსასვლელ ხვრელებზე ნუ მოახდენთ ჭარბ ძალისხმევას, ნუ აფხიანებთ მათ, მათ შორის ფრჩხილებით, ბასრი საგნებით და ა.შ.
- მოწყობილობის გასაწმენდად აკრძალულია სპირტის, ლაქის მოსაცილებელი სითხის ან სარეცხი საშუალებების გამოყენება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მუშაობის გაუმართაობა, გაფუჭება ან კორპუსის დეფექტები.

ტექნიკური მახასიათებლები

დასახელება	თმის ფენი Mi Ionic Hair Dryer H300
მოდელი	CMJ02ZHM
ნომინალური ძაბვა	220–240 ვ~
ნომინალური სიხშირე	50 ჰც
ნომინალური სიმძლავრე	1600 ვტ
პროდუქტის ზომები	135×77×215 მმ (კონცენტრატორის საცმის ჩათვლით)
წონა ნეტო	508 გ (კონცენტრატორის საცმის ჩათვლით)
კომპლექტაცია	მოწყობილობა, კონცენტრატორის საცმი, თანმხლები დოკუმენტაცია
ელექტროშოკისგან დაცვის კლასი	II

მოწყობილობის დანიშნულება

ელექტრული საყოფაცხოვრებო ფენი განკუთვნილია თმის გაშრობისა და სტაილინგისთვის სახლის პირობებში.

გაუმართაობების აღმოფხვრა

პრობლემა	შესაძლო მიზეზი	გადაწყვეტა
ფენის ჩართვის შემდეგ ინთება უარყოფითი იონების ინდიკატორი, ჰაერის ტემპერატურის ინდიკატორი კი ყვითლად ციმციმებს, მაგრამ ფენი არ მუშაობს.	ზედმეტად მაღალი ტემპერატურის გამო ფენი გადახურებისგან დაცვის მდგომარეობაში გადავიდა (ამოქმედდა ავტომატური თერმორელე).	გამორთეთ ფენი ერთი წუთით, შემდეგ ჩართეთ მუშაობის განსაახლებლად.
ჩართვის შემდეგ ფენი არ მუშაობს.	ზედმეტად მაღალი ტემპერატურა და თერმორელეს ამოქმედების შედეგად ფენი გადახურებისგან დაცვის მდგომარეობაში გადავიდა.	გამორთეთ ფენი 1 - 5 წუთით, შემდეგ ჩართეთ მუშაობის განსაახლებლად.
	ფენი დაზიანებულია თერმოდამცავის გადაწვის შედეგად.	პრობლემის გადასაჭრელად მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს.
ჩართვის შემდეგ ფენი მუშაობს, მაგრამ უარყოფითი იონების ინდიკატორი არ ინთება.	დაზიანებულია უარყოფითი იონების ინდიკატორის დაფა.	პრობლემის გადასაჭრელად მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს.
ფენის ჩართვის შემდეგ ინთება უარყოფითი იონების ინდიკატორი, მაგრამ ინთება ჰაერის ტემპერატურის ინდიკატორი და ფენი არ მუშაობს.	კვების ძაბვა არ შეესაბამება მოთხოვნებს.	დასაშვები კვების წყარო 220–240 ვ~ 50 ჰც.
ფენის ჩართვის შემდეგ ინთება უარყოფითი იონების ინდიკატორი, ასევე ჰაერის ტემპერატურის ინდიკატორი ნორმალურად მუშაობს, მაგრამ ჰაერის ტემპერატურის რყევებია.		

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- მოწყობილობა არ საჭიროებს რაიმე მონტაჟს ან მუდმივ ფიქსაციას.
- მოწყობილობის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, გათბობად სათავსოებში მწარმოებელსა და მომხმარებელთან. სათავსოებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავა, ტუტე ორთქლი).
- მოწყობილობის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- მოწყობილობა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას; დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობის, ცეცხლის და ა.შ. ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ნაწარმის მომსახურების ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად აკრძალულია. ამის ნაცვლად ის უნდა ჩაბარდეს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მიღების შესაბამის პუნქტს შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის ფედერალური ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პროდუქტის სათანადოდ უტილიზაციით, თქვენ ხელს უწყობთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და თავიდან აცილებთ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანს, რაც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობისას. ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საწარმოში.
- მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან უტილიზაცია გაუკეთეთ მოწყობილობას.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: დრიმე (ტიანძინი) ინფორმეიშენ ტექნოლოჯი კო., ლტდ.
ოთახი 2112-1-1, სამხრეთის რაიონი, ფინანსებისა და ვაჭრობის ცენტრი, იაჟოუს გზატკეცილი №6975, დუნძიანის სავაჭრო ნავსადგურის საბაჟო ზონა, ტიანძინის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ქ. ტიანძინი, ჩინეთი.
Manufacturer: Dreame (Tianjin) Information Technology Co., Ltd.
Room 2112-1-1, South District, Finance and Trade Center, No.6975 Yazhou Road, Dongjiang Bonded Port Area, Tianjin Pilot Free Trade Zone, Tianjin, China.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი საქართველოში:
შპს არგო ელექტრონიქს ს/კ 405791674
საქართველო,
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი:
info@dns-shop.ge

საქონელი შეესაბამება TP TC (ЕАЭС) მოთხოვნებს.

სავაჭრო ნიშანი: MI.
სპეციფიკაციები და ინფორმაცია პროდუქტის შესახებ შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლისთვის შეტყობინების გარეშე.
საგარანტიო და ექსპლუატაციის ვადები, ასევე პროდუქტის დამზადების თარიღი მითითებულია შეფუთვაზე.

V.9